პროგრამის სახელწოდება: ეკონომიკა

სასპეციალიზაციო მოდულებით:
1. საერთაშორისო ეკონომიკა
2. ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური დიპლომატია (ერთობლივი მოდული, პარტნიორები: ბერლინისა და ციურიხის ტექნიკური უნივერსიტეტები)
3. მაკროეკონომიკა
4. ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა
5. ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა
6. ბიზნესის ეკონომიკა

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება: ბიზნესი და ეკონომიკა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია: ეკონომიკის მაგისტრი/ Master of Arts in Economics

სწავლების ძირითადი დარგი/სპეციალობა:
საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები/ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური დიპლომატია/მაკროეკონომიკა/ეკონომეტრიკა და სტატისტიკა

პროგრამის მოცულობა: 120 ECTS კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი
მოდულების ხელმძღვანელები:
1. ასოცირებული პროფესორი ნინო პაპაჩაშვილი (საერთაშორისო ეკონომიკა)
2. სრული პროფესორი რევაზ გველესიანი და აკადემიური დოქტორი თამარ ბერუჩაშვილი (ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური დიპლომატია)
3. სრული პროფესორი ნოდარ ხადური (მაკროეკონომიკა)
4. სრული პროფესორები: იური ანანიაშვილი (ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა)
5. სრული პროფესორი სიმონ გელაშვილი (ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა)
6. სრული პროფესორი ეთერ ხარაიშვილი (ბიზნესის ეკონომიკა)

პროგრამის მიზნები და ამოცანები:
სამაგისტრო პროგრამის მიზანია ეკონომიკაში ინტეგრირებული, სისტემური, ფუნდამენტური თეორიული ცოდნის, სამეცნიერო კვლევის, დამოუკიდებელი აზროვნების, შემოქმედებითი და პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების მქონე კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება.
პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს სპეციალისტები, რომელთაც:
- აქვთ ფუნდამენტური ცოდნა ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის სფეროში; მოხმარებაზე, დანაზოგებზე, ინვესტიციებზე, სავალუტო კურსსა და სავაჭრო ბალანსზე მოქმედი ეკონომიკური ქცევების, საქონლის, წარმოების ფაქტორებისა და ფინანსური აქტივების საერთაშორისო მოძრაობის კანონზომიერებების, გლობალური ეკონომიკური პრობლემების, ეროვნული და საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის

და მისი ინსტრუმენტების, ეკონომიკაში თანამედროვე რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდების გამოყენების შესახებ;

- გააჩნიათ ეროვნული და გლობალური ეკონომიკური ტენდენციების ანალიზის, მიღებული შედეგების შეჯერებისა და სინთეზის, განზოგადებული დასკვნების გაკეთების უნარი; შეუძლიათ საკუთარი დასკვნების საჯარო წარმოდგენა, მათი მკაფიო დასაბუთება შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან;
- ზოგად კომპეტენციასთან ერთად, გააჩნიათ სპეციალური ცოდნა და კომპეტენციები, კრეატიული და ინოვაციური საქმიანობის უნარ-ჩვევები;
- აქვთ ეკონომიკის ისეთი სიღრმისეული და სისტემური ცოდნა, რომელიც იძლევა დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

მოსალოდნელი შედეგები:

სამაგისტრო პროგრამის წარმატებით გავლის შემდეგ ეკონომიკის მაგისტრები შეძლებენ:

- ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმებისა და პროცესების შეფასებასა და ანალიზს; ფასების, დასაქმების, მონეტარული და ფისკალური, საბიუჯეტო პოლიტიკის, საპროცენტო განაკვეთების და, ზოგადად, მაკროეკონომიკურ გარემოზე მოქმედი ფაქტორების კვლევას, შეფასებას და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას;
- თეორიულ და გამოყენებით კვლევას კონკრეტულ სიტუაციებში ეკონომიკური ანალიზის, პროგნოზირების და გადაწყვეტილების მიღების მიზნით, თანამედროვე ეკონომეტრიკული და სტატისტიკური ანალიზის მეთოდების გამოყენებით;
- ცოდნის ინტეგრირებას საერთაშორისო ეკონომიკის თანამედროვე პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით; გლობალიზაციის პირობებში წარმოშობილი საერთაშორისო ეკონომიკური პრობლემების და საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მხრიდან მათი რეგულირების მექანიზმების ანალიზს; მსოფლიო ეკონომიკაში წარმატებული ინტეგრაციის გზების დასახვას;
- ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის და ეკონომიკური დიპლომატიის ხერხების ეფექტიანად გამოყენებას, სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების პრაქტიკაში რეალიზებას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა :

-სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს საერთო საუნივერსიტეტო პირობებს;

-სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ნებისმიერი სპეციალობით;

-დაშვება შესაძლებელია მხოლოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული საერთო სამაგისტრო და სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში;

-სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოცდის (ეკონომიკის პრინციპები) ჩატარების წესები განსაზღვრულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ.

დასაქმების სფეროები:

ეროვნული და საერთაშორისო ეკონომიკური, სავალუტო-საკრედიტო და საფინანსო ინსტიტუტები, ფონდები, დიპლომატიური სამსახურები და წარმომადგენლობები, კონსალტინგური ცენტრები, სახელმწიფო დაწესებულებები (პრეზიდენტის აპარატი, პარლამენტი, სამინისტროები), მუნიციპალური მართვის ორგანოები, სახელმწიფო და კერძო საკუთრების საერთაშორისო და ეროვნული ფირმები, საერთაშორისო ორგანიზაციები (გაეროს, მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და ა. შ. სტრუქტურებში), საგანმანათლებლო დაწესებულებები და კვლევითი ინსტიტუტები.

სწავლების პერიოდში მიღებული ცოდნა მაგისტრებს საშუალებას აძლევს წარმატებით იმუშაონ ეკონომისტებად, კონსულტანტებად, ექსპერტებად, ანალიტიკოსებად და პროგნოზისტებად.

საგანმანათლებლო პროგრამის საგნების ჩამონათვალი და თითოეული საგნისთვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა:

№	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტი
	მიკროეკონომიკა II	5
	მაკროეკონომიკა II	5
	საერთაშორისო ეკონომიკა II	5
	ეკონომეტრიკა II	5
	ეკონომიკური პოლიტიკა II	5
	სტატისტიკური ანალიზის მეთოდები	5
	საკურსო ნაშრომი	5
	სამაგისტრო ნაშრომი	20
	პროფესიული პრაქტიკა	5
	სულ:	60
	სასპეციალიზაციო მოდულები (სტუდენტი 6 მოდულიდან ირჩევს მხოლოდ 1 მოდულს)	
	მოდული: საერთაშორისო ეკონომიკა	
	გლობალური ეკონომიკა	5
	საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკა	5

	გლობალური ფინანსები	5
	საერთაშორისო შრომითი მიგრაცია	5
	ტრანსნაციონალური ეკონომიკა და გლობალური სტრატეგიები	10
	საერთაშორისო და რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციები	10
	საერთაშორისო კონკურენცია	10
	საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები	5
	საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი	5
	სულ :	60
	მოდული: ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური დიპლომატია	
	ეკონომიკური პოლიტიკის თეორია	5
	ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა: თანაფარდობა სოციალურ და კონკურენციულ წესრიგს შორის	5
	განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა	10
	გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკა	5
	რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა	5
	სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა	5
	მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა	10
	შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკა	5
	ეკონომიკური დიპლომატია	10
	სულ:	60
	მოდული: მაკროეკონომიკა	
	ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკა	10
	მაკროეკონომიკური მოდელირება	5
	ეკონომიკური ზრდა	5
	საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა	10
	პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ინსტიტუციური ანალიზი	5
	მაკროეკონომიკური პროგნოზირება და ეკონომიკური განვითარება	10
	შრომის ბაზრის ეკონომიკა	5
	მონეტარული მაკროეკონომიკა	5
	თანამედროვე მაკროეკონომიკური დოქტრინები	5
	სულ:	60
	მოდული: ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა	
	მათემატიკური სტატისტიკა ეკონომისტებისათვის	5
	მაკროეკონომიკური მოდელირება	10

	გამოყენებითი ეკონომეტრიკა	5
	მათემატიკური მეთოდები და მოდელები ეკონომიკაში	10
	დროითი მწკრივების ანალიზი	5
	მიკროეკონომიკური მოდელირება	5
	მათემატიკური ეკონომიკა	5
	საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა	5
	მონეტარული მაკროეკონომიკა	5
	ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკა	5
	სულ:	60
	მოდული: ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა	
	საბანკო-საფინანსო სტატისტიკა	5
	ბაზრის კვლევის სტატისტიკური მეთოდოლოგია	5
	საერთაშორისო ურთიერთობების სტატისტიკა	5
	დემოგრაფიული სტატისტიკა	10
	ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირების მეთოდები	10
	სოციალური სტატისტიკის მეთოდოლოგია	10
	გადაწყვეტილებათა მიღების სტატისტიკური მეთოდები	5
	ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეთოდოლოგია	10
	სულ:	60
	მოდული: ბიზნესის ეკონომიკა	
	მენეჯერული ეკონომიკა	10
	ინდუსტრიული ეკონომიკა	10
	პოლიტიკის მიკროეკონომიკური ანალიზი	5
	აგრარული ეკონომიკა	5
	საქართველოს ეკონომიკა	5
	მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა	5
	განვითარების ეკონომიკა	5
	ფირმის ფინანსური ეკონომიკა	5
	ინოვაციური ეკონომიკა	5
	პროექტების მართვა და ანალიზი	5
	სულ:	60

მისაღები გამოცდის საკითხები

1. ეკონომიკური მოდელები
2.მიკროეკონომიკა და მაკროეკონომიკა; პოზიტიური ანალიზი და ნორმატიული ანალიზი
3.შედარებითი უპირატესობის პრინციპი და შედარებითი უპირატესობის გამოყენება
4. მოთხოვნა
5. მიწოდება
6. მიწოდება და მოთხოვნა ერთად
7. მოთხოვნის ელასტიურობა
8. მიწოდების ელასტიურობა
9. მიწოდების, მოთხოვნის და ელასტიურობის გამოყენების სამი გზა
10. ფასის კონტროლი
11. სამომხმარებლო დანაზოგი
12. მწარმოებლის დანაზოგი
13. ბაზრის ეფექტიანობა
14. გარეგანი ეფექტები და ბაზრის ეფექტიანობა
15. კერძო ინიციატივით გარეგანი ეფექტების დაძლევა
16. გარეგან ეფექტებთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკა
17. საზოგადოებრივი საქონლის სხვადასხვა სახეობები
18. საერთო რესურსები
19. რა არის დანახარჯები?
20. წარმოება და დანახარჯები
21. დანახარჯები მოკლევადიან პერიოდში და გრძელვადიან პერიოდში 22. მოგების მაქსიმიზაცია და კონკურენტული ფირმის მიწოდების მრუდი
23. რატომ ჩნდებიან მონოპოლიები
24. როგორ იღებენ მონოპოლიები გადაწყვეტილებებს წარმოებისა და ფასდადების შესახებ
25. კეთილდღეობის დანახარჯები მონოპოლიების შედეგად
26. სახელმწიფო პოლიტიკა მონოპოლიებთან მიმართებაში
27. ბაზრები, სადაც მხოლოდ რამდენიმე გამყიდველია
28. თამაშთა თეორია და თანამშრომლობის ეკონომიკა
29. სახელმწიფო პოლიტიკა ოლიგოპოლიებთან მიმართებაში
30. კონკურენცია დიფერენცირებული საქონლის პირობებში
31. შრომის ბაზრის წონასწორობა.
32. წარმოების სხვა ფაქტორები: მიწა და კაპიტალი
33. უპირატესობები: რა სურს მომხმარებელს
34. მომხმარებლის არჩევანი. როგორ მოქმედებს შემოსავლის და ფასის ცვლილება მომხმარებლის არჩევანზე
35. შემოსავლის ეფექტი და ჩანაცვლების ეფექტი. მოთხოვნის მრუდის აგება
36. მთლიანი შიდა პროდუქტის გამოთვლა და კომპონენტები
37. რეალური მშპ და ნომინალური მშპ

38. მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორი
39. როგორ გამოითვლება სამომხმარებლო ფასების ინდექსი
40. ცხოვრების ღირებულების გამოთვლისას წარმოქმნილი პრობლემები: მშპ დეფლატორი და სამომხმარებლო ფასების ინდექსი
41. მწარმოებლურობა: მისი როლი და დეტერმინანტები (რატომ აქვს მწარმოებლურობას ასეთი დიდი მნიშვნელობა; როგორ განისაზღვრება მწარმოებლურობა).
42. ეკონომიკური ზრდა და სახელმწიფო პოლიტიკა (დანაზოგებისა და ინვესტიციების დიდი მნიშვნელობა; კლებადი უკუგება და მკვეთრი ზრდის ეფექტი; უცხოური ინვესტიციები და განათლება).
43. ფინანსური ბაზრები და ფინანსური შუამავლები
44. დანაზოგები და ინვესტიციები ეროვნული შემოსავლის ანგარიშებზე (ზოგიერთი მნიშვნელოვანი იგივეობა; დანაზოგებისა და ინვესტიციების არსი)
45. უმუშევრობის განსაზღვრა (როგორ გამოითვლება უმუშევრობა)
46. რატომ არსებობს უმუშევრობა (მინიმალური ხელფასის კანონი; პროფკავშირები და კოლექტიური მოლაპარაკება)
47. ფულის მნიშვნელობა, ფულის ფუნქციები და ფულის სახეობები
48. ბანკები და ფულის მიწოდება
49. ფედერალური სარეზერვო სისტემის ფინანსური ინსტრუმენტები მონეტარული კონტროლისათვის
50. ინფლაციის მიზეზები (ფასების დონე და ფულის ღირებულება; ფულის მიწოდება, ფულზე მოთხოვნა და მონეტარული წონასწორობა)
51. კლასიკური დიქოტომია და მონეტარული ნეიტრალიტეტი
52. ფულის ბრუნვის სიჩქარე და რაოდენობრივი განტოლება
53. ინფლაციის გადასახადი და ფიშერის ეფექტი
54. კაპიტალისა და საქონლის საერთაშორისო ნაკადი (საქონლის ნაკადი; კაპიტალის ნაკადი; წმინდა ექსპორტისა და უცხოური ინესტიციების ტოლობა)
55. ნომინალური სავალუტო კურსი და რეალური სავალუტო კურსი
56. მსყიდველობითი უნარის პარიტეტი
57. ეკონომიკური რყევების სამი ძირითადი ფაქტი
58. ერთობლივი მოთხოვნის მრუდი (რატომ არის ერთობლივი მოთხოვნის მრუდი კლებადი; რატომ შეიძლება გადაადგილდეს ერთობლივი მოთხოვნის მრუდი)
59. ერთობლივი მიწოდების მრუდი (რატომ არის ერთობლივი მიწოდების მრუდი ვერტიკალური გრძელვადიან პერიოდში; რატომ შეიძლება შეიცვალოს გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი; რატომ არის ერთობლივი მიწოდების მრუდი ზრდადი მოკლევადიან პერიოდში)
60. ერთობლივი მოთხოვნის მრუდის და ერთობლივი მიწოდების მრუდის გადაადგილების შედეგები.

ლიტერატურა: გრ. მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები. თბ., 2000., 2008

შემდგენელი: სრული პროფესორი ე. მექვაბიშვილი

ბილეთი შედგება 5 საკითხისგან. სამი საკითხი იქნება მიკროეკონომიკიდან, ორი საკითხი მაკროეკონომიკიდან. თითოეული საკითხის მაქსიმალური შეფასების

ქულაა 10. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება საკითხის გადმოცემის სიზუსტე (4 ქულა), ლოგიკური აზროვნების უნარი (2 ქულა), გადმოცემის სტილი(1 ქულა), მაგალითების მოყვანა და გრაფიკული ანალიზი (საჭიროების შემთხვევაში) (3 ქულა).